

გრანდუკას შვილი

მე თუ დამიჯერებ, შინ შეიქცე, შენი საქმე იურვე, თვარე ჩვენ უარესნი ჭირნი გვჭირან, რომე კაცთაგან არ ითქმის და ვერც ჩვენი ენა იტყვისო. აფიცა მეფემან და მასცა ათქმევინა.

და თქვა: მე შვილი ვიყავ დიდებულისა გრანდუკისა. ესრეთ ვუყვარდი მამასა ჩემსა, სულსა თვისსა ჭირსა ჩემსა ანაცვალებდა. და მომგვარა ცოლი, ქალი დიდებულისა კაცისა, შვენიერი, რომელსა გაბადრული მთვარე ვერ ესწორებოდა. დიდად მიყვარდა.

დღესა ერთსა მათდა უცნაურად შეველ. ვნახე, მონა ჩემი, მასთან მჯდომი, ემღეროდა. რა მნახეს, ივლტოდენ ჩემგან. ვუხმე მონასა მას, ქალი იგი ხელთა მივეც და ქალს ეგრე ვუთხარ: არა ღირს იყავ დიდებასა და ნუმცა გაქვს-მეთქი მე სირცხვილეულმან მამა ვითლა ვნახე. მოველ აქა და აწ თუ უნაღვლო ვიყო. შენ გასინჯე!

თქვა მეხუთემან: